პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით. წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

№ 148 შაბათი 30 ივნისს, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 75,000 მან. № 148

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივანი 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.300.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონეცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონეცებით.

დღიური

— ლონდონში მყოფმა ოსმალეთის დელეგაციამ კატეგორიული ბრძანება მიიღო თავისი მთავრობისაგან არავითარ შემთხვევაში არ დაუთმოს მეტი მოკავშირეებს.

— რურის ოლქში ხალიუპაციო ჯარმა ქალაქ მაინცის მოსახლეობისგან დაწესებულებათა კუთვნილი თანხა.

— ლონდონიდან დახრუნებულმა ახალ-ელჩინმა ბერლინში განაცხადა, რომ ინგლის-რუსეთის დამოკიდებულება აღდგენილია და შემდეგი მოლაპარაკება გაგრძელდება მოსკოვში.

— ანგორის მთავრობა აპირებს გაამათილოს ჩესტერთან დადებული ხელშეკრულება.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური კომიტეტის მეორე სესია

სესიის გახსნა.

28 ივნისს, საღამოს 7 საათზე სასახლის წითელ დარბაზში ამხ. მიხა ცხაკაიას თავმჯდომარეობით გაიხსნა ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესია.

ამხ. მიხა ცხაკაია თავის სიტყვაში აღნიშნავს ყრილობის მნიშვნელობას და ეხება საერთაშორისო მდგომარეობას.

დღის წესრიგი

შემდეგ ყრილობა იღებს პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგს, რომელშიც დგას შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსი, 2. ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფინანსიური მდგომარეობა 3. კონსტიტუციები (ხელშეკრულებანი და დეკლარაციები) სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებს კავშირისა, 4. მოხსენებანი: ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა ფედ. რესპუბლიკების სასურსათო სახალხო კომისარიატის, შრომის სახალხო კომისარიატის და მუშურ-გლეხურ ინსპექციის სახალხო კომისარიატის, 5. ნაციონალური მომენტი ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახელმწიფო აღმშენებლობაში, 6. მიმდინარე საქმეები.

დამატებით სესია ადგენს მოისმინოს მოხსენება ამხ ბოგდატიანისა მელიორაციის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს მოხსენება.

მოხსენებით ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ გამოდის ამხ. **მამია ორახელაშვილი.**

5 თვეა, რაც ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო შესდგა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძლიერ მცირე დროა, მაინც ბევრი რამ გაკეთდა ამბობს ამხ. მამია. 5 თვის მუშაობის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა არის ამიერ-კავკასიის ყველა ერების ერთობისა და მტკიცე კავშირის ორგანო. რასაკვირველია, კანცელარია არ არის ამა თუ იმ დაწესებულების მუშაობის ნაყოფიერების მაჩვენებელი. მაგრამ ჩვენი მუშაობა ამ სფეროშიც არის იმ მოღვაწეობის მაჩვენებელი, რომელსაც ჩვენ ვეწეოდით ამ ხუთი თვის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ამ.-კავკასიის სახკომსაბჭოს კანცელარიაში შემოვიდა 2.734 ქაღალდი, გავიდა—2 532. პლენუმის სხდომა იყო 14, განმკარგულებელი სხდომა—20, ფინანსიური კომიტეტის—40.

მუშაობის ეს რაოდენობა იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ სავსებით შევეხეთ ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაციულ და პოლიტიკურ საკითხებს, ჩვენ გამოვსცადეთ ნი თ ის ნიადაგი, ის საფუძველი, რომელზედაც ეყრდნობა ამიერ-კავკასიის მთავრობა.

ფინანსიური საკითხი.

ამხ. [illegible] ... ფინანსიური საკითხი. [illegible] ... ფინანსიური საკითხი. უპირველესი მნიშვნელობა ამ საკითხის მოსაგვარებლად ქონდა ფინანსების გაერთიანებას, რომლისკენაც პირველ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშანის შემოღება. მთავარი უყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს ბიუჯეტს. ჩვენი ორგანოების სამიუჯეტო უწესრიგობა, უდისციპლინობა არ გვაძლევს ჩვენი ხარჯების განსაზღვრის და ფინანსიური საკითხის მოგვარების საშუალებას. ჩვენ ბაზ. ჩვენ საფუძვლათ ავიღეთ ნომბრის (უმაღლესი) ხელფასი და მას არ შევამცირებთ არასოდეს.

რკინის გზები.

ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია—რკინის გზები. მიუხედავათ იმისა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზები გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე, მან მაინც შესძლო საკმაო რემონტის მოხდენა და შრომის ნაყოფიერების გაზრდა. მაგრამ სხვა და სხვა სტიქიური უბედურობების გამო, რომლებმაც დიდი ზარალი მიაყენეს ჩვენს რკინის გზებს, ის დეფიციტს იძლევა. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, რათა გამოვაყენოთ რკინის გზები ამ ძმიმე მდგომარეობიდან და მივცეთ მას შესაძლებლობა მტკიცედ დადგეს ფეხზე. საყვედურები თითქო რკინის გზებზე დიდი ტარიფებია დაწესებული, უსაფუძვლოა.

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის შესახებ.

ეს არის ორგანო, რომელიც საშინლად სძაგს ბურუუაზიას. რუსეთში მოხდა ამ ორგანოს რეორგანიზაცია—საგანგებო კომისიის ნაცვლად იქ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო. ერთის შეხედვით ასეთი რეფორმა უნდა მოგვეხდინა აქაც, მაგრამ გავითვალისწინეთ რა ამიერ-კავკასიის ფედერაციის მდგომარეობა, ჩვენ არ გადავდგით ასეთი ნაბიჯი. ჩვენი ქვეყანა არის ის გზა, რომელიც მიდის ბაქოს ნავთისკენ და ინდოეთისკენ. ანტანტის მთელი ყურადღება, მთელი მისი მისწრაფებები მიპყრობილია ჩვენი ფედერაციისაკენ. და ჩვენ არ შევმცდარვართ. ანტანტის აგენტურის ლიკვიდაციამ პარიტეტული კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის სახით, ნათლად დაამტკიცა ეს. ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიამ უდიდესი სამსახური გაუწია მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

წითელი ჯარის შესახებ.

უკანასკნელი ხნის განმავლობაში წითელი ჯარის მდგომარეობა საგრძნობათ გაუმჯობესებულა. [illegible] ... ტაცია. ჩვენი წითელ უფშმადგენლობა—წითელი ჯარის აღმზრდელი—დიდ გაჭირვებას განიცდის. ჯამაგირი 11 მილიონი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით მეტად მცირეა იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს აუცილებელი საჭიროებები. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება და თუ სესია დასთანხმდება, ჩვენ ვფიქრობთ ჩვენი წითელი უფშმადგენლობის ჯამაგირების გადიდებას შესაძლებლობის ფარგლებში, ცოლ-შვილიანებისათვის მაინც—1—2 ჩერვონეცი თვეში

ს. ს. რ. კ. კონსტიტუციის დამტკიცება.

ვინაიდან მეორე საკითხზე მომხსენებელმა დაიგვიანა, სესია შეუდგა ამხ. **გუხანოვის** მოხსენების მოსმენას ს. ს. რ. კ. კონსტიტუციის (ხელშეკრულება და დეკლარაცია) შესახებ. პირველ საკავშირო საბჭოს სესიაზე არჩეულ კომისიის მიერ ხელშეკრულების პროექტში შესატანათ გამომუშავებული შესწორებების წაკითხვის შემდეგ სესია სავსებით იღებს კონსტიტუციის ტექსტს.

29 ივნისის დილის სხდომა.

ფინანსიური მდგომარეობა

(ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარ ამხ. თუმანოვის მოხსენება).

ჩვენი მეურნეობა თანდათან გადადის ნატურალურ მეურნეობიდან ფულის სისტემაზე. მეურნეობის მთავარ ბერკეტათ ხდება ფული.

ეს გვაიძულებს სიფრთხილით შოვეპყრათ მას. ფულის სისტემის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მისი გაერთიანებით გაუმჯობესდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფინანსიური მდგომარეობა.

ფინანსიური რესურსები ძალიან გადიდდენ 22 წლის პირველ ოთხ თვეში. შემოსავალი უდრიდა 755.000 მ, ოქროთი, 1923 წელშიც შემოსავალი თანდათან მატულობს და აღწევს 3.680.000 მანეთს. ფედერაციის მთელი შემოსავალი ოთხი თვის განმავლობაში უდრის 9.500.000 მანეთს ოქროთი. ამაში არ შედის ამიერ-კავკასიის რკინისგზების შემოსავალი და ზოგიერთი ადგილობრივი ხასიათის შემოსავალი.

განაწილების დარგი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების შემდეგ შემჩნეულია უფრო რაციონალური განაწილება ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესურსებში. 1922 წლის პირველ კვარტალში სამხედრო საჭიროებისათვის დახარჯულია 11,6 პროც., ადმინისტრატიულზე 50 პროც., კულტურულზე 19 პროც.

ხარკების ამატება კულტურულ დარგში მოხდა ადმინისტრატიული ხარჯების შემცირებით. რომ გავამტკიცოთ ჩვენი მეურნეობა საჭიროა მთავარი ყურადღების მიქცევა ბიუჯეტის სწორ ნიადაგზე მოწყობისკენ, უროშლისოდაც შეუძლებელია რაიმე გაჯანსაღება და განმტკიცება ჩვენი მანეთის კურსისა.

განვლილ ნახევარ წელიწადში მთელი შემოსავალი უდრიდა 20 მილიონ ოქროს მანეთს ამ თანხის 60—65 პროც. შეადგენდა ფულის ემისია. ამაშია მთელი ჩვენი შემოსავლის უარყოფითი მხარე. ემისია აუცილებლად შემცირებულ უნდა იქნეს, რისთვისაც საჭიროა მთელი ყურადღების მიპყრობა. მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის გატარებაზე, საიდანაც მოველოდ დიდი რესურსების მიღებას ამის შემდეგ ამხ. თუმანოვი მიუთითებს მთელ რიგ ლონისძიებებზე ფინანსიური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად, რომლებიც სესიამ ერთხმად მიიღო.

1923 წ. 1 კვარტალში სამხედრო საჭიროებაზე დაიხარჯა 14 პროც., ადმინისტრატიულზე—40 პრ., კულტურულზე 24,5 პროც., სამეურნეო ხარჯები—15 პროც.

მ ე ლ ი ო რ ა ც ი ა.

წყალთა კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. **ბოგდატიანი,** რომელიც აუცილებლად სთვლის ხორბლეულობის ნათესების გადიდებას და განსაკუთრებით მებამბეობისას, როგორც ძვირფას კულტურისას ბამბის მეურნეობის გასაფართოებლად საჭირო სარწყავი არხების გამრავლებას და გაუმჯობესებას. მდინაარეების სისტემატიური გამოკვლევის უქონლობამ გამოიწვია არხების გაფუჭება. წინად სარწყავი სიერცის რაოდენობა უდრიდა 900 ათას დესეტინას, ამ ჟამად ირწყ�eba ამ სიერცის მხოლოდ ნახევარი. საჭიროა მუშაობის გადიდება.

სომხეთში შევსძელით მთელი იქაური არხების სისტემის აღდგენა. ერთ საუკეთესო არხათ ითვლება ალექსანდროპოლის, სადაც გვიხდება გვირაბის გათხრა ორი ვერსის მანძილზე, რასაც მეტად დიდი ფული სჭირდება.

საქართველოში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ღია არხებისა, რომლებიც ნაჩქარევად იქნენ გაყვანილი და ამიტომ ბევრი მათგანი გაფუჭდა. მათ აღსადგენად გაიცემულია 120.000 მანეთი ოქროთი ბიუჯეტის მესამე კვარტალიდან. საქართველოში მთაგორიანობის გამო საჭიროა უფრო სერიოზული მუშაობა ვიდრე ამიერ-კავკასიის ფარგლებში.

არხების სისტემით და მებამბეობით ადერბეიჯანი უფრო მდიდარია. აქ უმთავრესი საქმეა მუღანის ველის მორწყვა. სესიამ მოხსენება უცვლელათ მიიღო.

საუნივერსიტეტო ... ...

იმყოფებიან ციხეებში ან მიცემული არიან პასუხისგებაში.

განარჩენი მონარქისტები საქმის გამო.

პარიზი. 29 ივნისი, საფრანგეთის მონარქისტებს, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი საფრანგეთის პალატის მემარჯვენე დეპუტატებზე ძალადობის ხმარების გამო, სასამართლომ მიუსაჯა ჯარიმა და ციხე 4 თვიდან 1 წელიწადამდე, მათ შორის „აქციონ ფრანსეზ“-ის რედაქტორს მიუსაჯეს ორი თვის ციხე.

პოლონეთი.

რუმინეთის მეფის გამგზავრების გამო.

ვენა. 27 ივნისი. უკეთებს რა კომუნისტებს რუმინეთის მეფის გამგზავრებას პოლონეთში, რუმინეთის გაზეთი „ადევერული“ აღნიშნავს, რომ ეს გამგზავრება დაკავშირებულია პოლონეთის მცირე ანტანტაში შესვლის საკითხთან.

ესპანეთი.

გაფიცვა ბარსელონაში.

რომი. 20 ივნ. ბარსელონაში გაფიცულთა რიცხვი აღწევს 300,000-დე.

თავდასხმა პაშიჩზე.

რომი. 29 ივნისი ბელგრადიდან გადმოგვცემენ, რომ პრემიერ პაშიჩზე მოსაფდინეს თავდასხმა; შეიპყრეს დამცემი, რომელიც აღმოჩნდა სერბიელი.

ჩინეთ-რესპუბლიკაში

რუსეთი.

უმუშევართა დახმარების კამპანია.

ოდესა. 26 ივნისი. უმუშევართა დახმარების კამპანიამ, რომელიც გაატარეს ოდესის გუბერნიაში პროფკავშირებმა, შემოიტანა 1,250,000 მან.

ერთიანი ფრონტისათვის.

ოდესა. 26 ივნისი. ოდესაში გაიმართა რკინისგზელების დიდი დემონსტრაცია, რომელიც სოლიდარობას უცხადებდა ტრანსპორტელების ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებას ფაშიზმის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის ერთიანი ფრონტის დაარსების შესახებ.

შვეიცის დელეგატები რუსეთის შესახებ.

სტოკჰოლმი. 26 ივნისი. კომინტერნის გაფართოებული პლენუმიდან დაბრუნებული შვეიციელი დელეგატები აღნიშნავენ დიდ ცვლილებას მოსკოვის და პეტროგრადის ცხოვრებაში, რასაც განცვიფრებაში მოჰყავს ყველა, ვისაც ორი წელიწადია არ უნახავს რუსეთი. დელეგატების სიტყვით, ყოველგან დიდი გამოცოცხლება ემჩნევა, ხორცათიფუ; მანეთი, გერმანიის მარკასთან შედარებით მეტი ღირს.

ბამბა თურქესტანში.

ტაშკენტი. 26 ივნისი ბამბის მდგომარეობა თურქესტანში საშიანოზე მეტია. განსაკუთრებით კარგია ბამბა კრასნოვოდსკის და პოლტორაცკის მაზრებში, სადაც მას აფასებენ უმაღლეს ბალით.

ხელის ნათესების მოედანი.

სმოლენსკი. 26 ივნისი. სელის ნათესების მოედანი სმოლენსკის გუბერნიაში გადიდდა წარსულ წელთან შედარებით 30 პროცენტით. სელზე მოთხოვნილება დიდია. ფასები უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში გაიზარდა 200 პროცენტით.

პურის ხესხი.

სმოლენსკი. 26 ივნისი. სმოლენსკის გუბერნიის სოფლებში დიდი მოთხოვნილებაა პურის სესხის ობლიგაციებზე. ობლიგაციების შესაძენად გლეხობამ გამოიტანა ბაზარზე დიდძალი პროდუქტები, რის გამოც ფასები დაეცა.

ცარიცინი. 26 ივნისი. ცარიცინის გუბერნიაში გაყიდულია პურის სესხის ობლიგაცია 300,000 ფუთზე. მოთხოვნილება არ შემცირებულა.

სათათრეთის რესპუბლიკის ხამი წლის თავი.

ყაზანი. 26 ივნისი. ყაზანში ხალხიმიდ იდღესასწაულეს სათათრეთის რესპუბლიკის არსებობის ხამი წლის თავი. წლის თავის აღსანიშნავად ყაზანში მოწყობილია მეორე ელექტრო-სადგური.

ამერიკული კომიტეტის ლიკვიდაცია.

მოსკოვი. 26 ივნისი. ვინაიდან ამერიკულმა კომიტეტმა თავისი მუშაობა დაამთავრა, სახალხო კომისარიატა საბჭომ დაამტკიცა შეთანხმება ამერიკულ კომიტეტთან, რომლის ძალითაც ყოველგვარი კონფლიქტები კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას შორის გაუქრებულად ითვლება; საბჭოთა მთავრობამ თავის თავზე მიიღო ყველა იმ პრეტენზიების დაკმაყოფილება, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკული კომიტეტის მუშაობასთან რუსეთში.

საბჭოთა მართლმსაჯულება.

მოსკოვი. 26 ივნისი. მოსკოვის საგუბერნიო სასამართლომ, განიხილა რა საქმე შრომის ბირჟის საფეიქრო განყოფილების გაგზის გრიშინის და მისი სამის მწარმოებლის, რომელთაც ბრალი ედებათ მექრთამეობაში და შრომის ბირჟის გარეშე მოსამსახურის მიღებაში, მიუსაჯა ორიოვეს დახვრეტა. ქრთამის მიმცემთ მიესაჯათ ციხეში დაპატიმრება სხვა და სხვა ვადით და ჯარიმა 1000-2000 მან ოქროთი.

გერმანიის წითელი ჯვარის წარმომადგენელი ოდესაში.

ოდესა. 25 ივნისი. ოდესაში ჩამოვიდა გერმანიის წითელი ჯვარის თავმჯდომარის ამხანაგი პროფესორი ბაუერი. ბაუერმა დაათვალიერა ოდესის სანატორიუმები, სამკურნალოები და ბავშვების ქალაქი. პროფესორი განცვიფრებაში მოიყვანა ნახულმა სურათებმა.

კანონმდებლობა.

მოსკოვი. 26 ივნისი. რადგანაც ფრაზდ დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ სატყეო კანონთა კოდექსს, სამოქალაქო პროცესების კოდექსს და ადმასრულებელ კომიტეტთა სამართველოების აპარატთა გამარტივებას, უმაღლესმა ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მომავალ სესიისათვის მოიწვიოს სპეციალური კომისიები ამ საკითხების შესახებ. განსახილველ საკითხთა სიიდან მოიხსნა საკითხი სამირაბო კანონებისა და შრომის კანონთა კოდექსისა.

განთავისუფლება სასურსათო ვადასახადისაგან.

მოსკოვი. 26 ივნისი. სახალხო კომისარიატა საბჭომ სასურსათო ვადასახადისაგან გაანთავისუფლა ის ნათესობა, რომელსაც მაჩვენებელი დანიშნულება აქვს და ემსახურება პირველ და მეორე საფეხურის სკოლებს, საბავშვო სახლებს, საბავშო ბაღებს, ქოხ-სამკითხველოებს, ტეხნიკუმებს, სამხედრო სასწავლებლებს და სახალხო განათლების კომისარიატის სხვა სკოლურ-საგანმანათლებელ დაწესებულებათა.

რუსეთი და იტალია.

მოსკოვი. 26 ივნისი. იტალიას საგარეო დელეგაციის თავმჯდომარე პინინფარინმ ინახულა საგარეო საქმეთა კომისარი და განუცხადა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს ორივე სახელმწიფოს მეგობრულ ურთი-ერთობის განმტკიცებას, მით უმეტეს, რომ იტალიის მთავრობა დღევანდელი გადახრით დაადგა რუსეთთან დახმარების გზას.

ამერიკელი ალაფები რუსეთში.

მოსკოვი. 26 ივნისი. მოსკოვში ჩამოვიდნენ მსხვილი ამერიკელი ალაფები, რუსეთის ბაზრის შესასწავლად.

ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურ აღმასკომის მეორე სესია.

მოსკოვი. 17 ივნისი. 5 ივლისისათვის მოწვეულია ს. ს. რ. კავშირის ცენტრალურ აღმასკომის მეორე სესია. დღის წესრიგში სდგას: ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუცია, ს. ს. რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისა, მის მოადგილისა და სახალხო კომისრების არჩევნები.

ტიხონის მონანიების გარშემო

ტიხონის განცხადება.

მოსკოვი. 28 ივნისი. განთავისუფლებული ტიხონი დასახლდა დონის მონასტერში, იმავე შენობაში, სადაც ის წინეთ დამწყვდეული იყო.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ტიხონმა განაცხადა, რომ **მას კარგათ ეპყრობოდენ, როგორც მონასტერში, ისე მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში და დასცინა ხაზღვარგარეთელ პრესის ცნობას, თითქოს ის ეწამებოთო ელექტრონის სკამზე.** მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში მას ცალკე ოთახი და აგრეთვე ცალკე სამარხვო სადილი ჰქონდა. ტიხონი აცხადებს, რომ **ის ხავსებით საბჭოთა პლატფორმაზე დადგა და იმავე დროს ეკლესიის სცნობს პოლიტიკის გარეშე.** ამას გაატარებს ის თავის მომავალ მუშაობაში და მას გაანზრახული აქვს წინადადება მისცეს საზღვარგარეთელ სამღვდელოებას შესწყვიტონ კონტრ-რევოლიუციონური მუშაობა, რადგან ეს არ შეეფერება სულიერ მამის წოდებას ტიხონი ფიქრობს, მღვდელ-მსახურების შესრულებას თუ აღმოჩნდება თანამგრძნობთა საკმაო რიცხვი, ის მათ გააერთიანებს ორგანიზაციულად. საეკლესიო ყრილობის დადგენილებას მისთვის ღირსების ახდის შესახებ, ის არ სცნობს, რადგან მისი აზრითაც ყრილობას არ ჰქონდა ამის უფლება. ტიხონის აზრით **კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებისათვის მისი გასამართლება შეუძლია მხოლოდ საბჭოთა მთავრობას, და არა საეკლესიო ყრილობას.** საეკლესიო ყრილობის გადაწყვეტილებებიდან ტიხონი მხოლოდ ერთს ეთანხმება—ახალ სტილზე გადასვლის გადაწყვეტილებას.

ახალგაზრდათა კომკავშირის სრულიად რუსეთის კონფერენცია

მუშაობის საფუძველი.

მოსკოვი. 26 ივნისი. რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის სრულიად რუსეთის კონფერენციაზე აღნიშნული იყო, რომ ახალგაზრდათა კომკავშირის სოფლად მუშაობის საფუძვლად უნდა იყოს ნახევრად პროლეტარული, უღარიბეს გლეხთა ელემენტები. საქმეოა სოფლის ახალგაზდობის მოწვევა სკოლების აღსადგენად წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის და სასოფლო სამეურნეო ცოდნის გავრცელებისათვის. სოფლის ახალგაზრდათა კომკავშირის წევრები კანტროლიორები უნდა იყვნენ და თვალყური ადევნონ, რომ მდიდარმა გლეხობამ შეასრულონ სახელმწიფო ვალდებულებები.

ურილობაზე აღნიშნული იყო ბავშთა კომუნისტური მოძრაობის წარმატება; ამ მოძრაობამ სამრეწველო რაიონებში ჩაიფარა მუშების ბავშვების 85 პროც. საჭიროა ბავშთა მოძრაობის ერთიანი ტიპის გამომუშავება მთელ ს. ს. რ. კავშირისათვის.

28 ივნისის დილის სხდომაზე აღნიშნული იყო ის გარემოება, რომ აუცილებელია მიზანშეწონილ პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობაზე გადასვლა კომუნისტურ ახალგაზდობის ყველა კატეგორიებს შორის.

პროფინტერნში

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს.

მდგომარეობა ინგლისში.

აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა ცნობა ინგლისში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ინგლისში პროფკავშირთა რევოლიუციონურ უმცირესობის მოძრაობას ჯერ კიდევ არ აქვს მტკიცე ორგანიზაციული ფორმები. სამრეწველო კრიზისების, გაფიცვების და ლოკაუტების დროს მოძრაობა პროფინტერნის სასარგებლოდ ძლიერ ვითარდება, რევოლიუციონური პროპაგანდა მუშათა ფართო მასებს შორის პოულობს გამოძახილს, მაგრამ დღემდე კიდევ არ იყო გამოყენებული ყველა შესაძლებლობანი ამ რევოლიუციონურ განწყობილების ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისათვის. მეორეს მხრივ ბრიტანეთის კომუნისტური პარტია ჯერ კიდევ არ არის იმდენად ძლიერი, რომ [illegible] ნა ჰქონდეს ტრედ-უნიონებს შორის მაგრამ ცხადია, რომ ეს გავლენა დღითი-დღე იზრდება.

პროფინტერნის მომხრეებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ შემდეგ კავშირებში: რკინისგზელების, სამოთხადნო მუშების, ტრანსპორტელების და მანქანის საალმშენებლო მრეწველობის მუშების. ბრიტანეთის კომპარტიის და პროფინტერნის მომხრეების უფლოეს ამოცანას შეადგენს ბრიტანეთის პროფესიონალურ მოძრაობის რევოლიუციონურ ელემენტების წარმომადგენელთა მთელი რიგ კონფერენციის მოწვევა, რათა მისცენ უფრო გარკვეული ორგანიზაციული ფორმები პროფინტერნისა და ერთიანი ფრონტისათვის მოძრაობას.

მდგომარეობა ესპანეთში.

აღმასრულებელმა ბიურომ მოისმინა შემდეგ მოხსენება ესპანეთში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ესპანეთში ამ ჟამად არის 2 ცენტრალური პროფესიონალური ორგანიზაცია—„მუშათა საყოველთაო კავშირი“,—რეფორმისტული ორგანიზაცია შეიცავს დაახლოვებით 150,000 წევრს, რომელთაგან ნახევარზე მეტს შეადგენს გლეხობა.

ამ ორგანიზაციამ გამორიცხა სავსებით თავის შემადგენლობიდან ყველა ადგილობრივი კავშირები, რომელთა გამგეობაში უმრავლესობას შეადგენდენ პროფინტერნის მომხრეები. ანარქო-სინდიკალისტური ორგანიზაცია—„შრომის საყოველთაო კონფედერაცია“—შეიცავს დაახლოვებით 250,000 წევრს, მისი თავავრი ძალები თავმოყრილია კატალონიის სამრეწველო პროვინციაში. ოპოზიციონურ უმცირესობას—პროფინტერნის მომხრეებს შრომის კონფედერაციის შიგნით აერთიანებს რევოლიუციონურ სინდიკალური კომიტეტი, რომელშიაც შედის 50,000 წევრი.

მდგომარეობა ამერიკაში.

ამერიკაში საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ანტ. ჯონსონი. ამჟამად ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატები განიცდის მრეწველობის უაღრესად განვითარების პერიოდს. მრეწველობის განვითარება ისე ძლიერია, რომ მუშა ხელის სიმცირე თვალსაჩინო ხდება. ერთ-ერთი უდიდესი დარგი მრეწველობისა შეერთებულ შტატებში, ფოლადის წარმოება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას თავის პროდუქციებზე და დაკვეთების დიდ ნაწილს უთმობს კანადას.

ამერიკის ბურჟუაზიის პოლიტიკა ამჟამად ასეთია: ის ხალისით აკმაყოფილებს მუშების მოთხოვნილებას სამუშავო ხელფასის მომატების შესახებ, მაგრამ ამავე დროს ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს მუშათა ორგანიზაციის არსებობის წინააღმდეგ. ამ პოლიტიკის მიზანია უზრუნველჰყოს სამუშავო ხელფასის შემცირების შესაძლებლობა სამრეწველო კრიზისის დადგომის დროს.

ამ მიზნით, რათა გამოიყენონს მდგომარეობა და შეასრულოს პროლეტარიატის ავანგარდის როლი, წითელი პროფინტერნის ორგანო ამერიკაში, პროფესიონალური პროპაგანდის ლიგა გამოდის ამჟამად შემდეგი ლოზუნგებით:

1) უორგანიზაციო მუშების შეკავშირება; 2) ცეხურ პროფკავშირების გაერთიანება სამრეწველოებთან; 3) მუშათა პარტიის დაარსება; 4) უცხოეთის მუშების შრომის დაცვა; 5) სამუშავო ხელფასის მომატება; 6) მუშათა კავშირებიდან რეფორმისტულ ბელადების გაძევება და 7) საბჭოთა რუსეთის ცნობა.

ამჟამად პროფესიონალური პროპაგანდის კონსტრუქცია ასეთია: მას აქვს 4 კომიტეტი, რომლებიც ეწევიან მუშაობას 4 ოლქში—აღმოსავლეთის, ცენტრალურ, დასავლეთის და კანადაში. ყველა ორგანიზაციები რომელთაც აარსებს ლიგა ადგილებზე, მოწყობილია მემარცხენე ბლოკის პრინციპების მიხედვით და შეიცავს რევოლიუციონურთან ერთად აგრეთვე უფრო ზომიერ პროგრესიულ ელემენტებს. შეკავშირებულ მუშების საერთო რიცხვი, რომელიც მხარს უჭერს ლიგას, აღწევს 2 მილიონამდე.

უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ლიგამ დაუგზავნა 35,000 წერილი ადგილობრივ კავშირებს შეერთებულ შტატებში, რომლებშიაც განმარტავს მუშათა კლასის პოლიტიკური გამოსვლის აუცილებლობას და მოითხოვს მათ თანხმობას მუშათა პარტიის შექმნაზე. ამ წერილზე საპასუხოდ რამოდენიმე ასეულმა ადგილობრივმა კავშირმა თანხმობა განაცხადა ლიგის წინადადებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ კავშირებში რეაქციონურ ელემენტების ოპოზიცია ძლიერია.

ამერიკის კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აპარა.

თემისა და სამაზრო საბჭოების ურილობები.

ბათომი. 27 ივნისი. დამთავრდა აჭარის თემებისა და საბჭოების ურილობები. ურილობები მოხდა: ხულოში, ქედაში, აჭარის-წყალზე, უჩანგეთში, ქობულეთში, სხალთაში და კაპანდიხში. მოხსენებები გააკეთეს: თბილისიდან—ამხ. ელიავამ და ბათომიდან—ამ ბმა მოწყობილმა, ბახტაძემ და სულემან ლორთქიფანიძემ. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს თავისი მუშაობის ანგარიშები. ურილობებმა განიხილეს საკითხები კოოპერაციის, ჯანმრთელობის, სასამართლოს, სისხლის აღებასთან ბრძოლის და გზების შესახებ. ურილობები თავის რეზოლიუციებში აღნიშნავენ კმაყოფილებას აჭარის საბჭოების მესამე ურილობის დადგენილებების ცხოვრებაში გატარების გამო. ხალხი ყველგან თანგარჩენობით ეგებებოდა საბჭოების წარმომადგენლებს.

აგრონომიული დახმარება.

ბათომი. 27 ივნისი. თათბირზე, რომელსაც დაესწრო აგრონომიული პერსონალი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გამომუშავა გეგმა სოფლის მცხოვრებთათვის აგრონომიული დახმარების შესახებ.

გლეხების კლუბი.

ბათომი. მახინჯაურში დიდის ზეიმით გაიხსნა გლეხების კლუბი.

ბათომის ნავთხადგურში.

ბათომი. 27 ივნისი. მოვიდა გემი „ჩიჩერინი“, რომელმაც მოიტანა 3,400 ფუთი სხვა და სხვა საქონელი.

ახალი ბაზარი ბათომში.

ბათომი. 27 ივნისი. პირველი ივლისიდან ყველა ხორცის სავაჭროები ქალაქის ცენტრიდან გადატანილი იქნებიან ახალ ბაზარში ნურიე-გელის ტბის პირათ.

ექსკურსია.

ბათომი. 28 ივნისი. ბათომში ჩამოვიდა ექსკურსია მოსკოვიდან. ექსკურსიაში 22 კაცია: 9 მოწაფეა და 3 ხელმძღვანელი. მოსკოველ ექსკურსანტებს მეტად თბილათ შეხვდა აჭარის განათლების კომისარიატი.

აზერბეიჯანი

მეგამბეობის კომიტეტი.

ბაქო. 28 ივნისი. შრომისა და თავდაცვის კომიტეტმა ამ დღეებში დაამტკიცა ახალი დებულება მეგამბეობის კომიტეტის. ამ დებულების თანახმად მეგამბეობის მთავარ სამმართველოს ევალება მთელ რიგ გეგმიან სამუშაოთა პროექტის შედგენა და განხორციელება, სახელდობრ: მან უნდა გააფართოოს და მორწყას ბამბით დათესილი ადგილები; მოაწყოს ბამბის კურკის სათესლეთ გადარჩენა და მეგამბეთათვის მისი მიწოდება; მიაწოდოს მეგამბეებს გაუმჯობესებული იარაღები და ხელსაწყო; წამეზღვეული ზომები იხმაროს, რათა მეგამბეები ხალისიანად მოეკიდნენ ბამბის მოყვანას; შეიმუშაოს საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის საკითხები, რაც კი მეგამბეობას შეეხება; გააუმჯობესოს ბამბის მოსაყვან ადგილების მორწყვის საქმე, მოაწყოს ახალი სათესი ადგილების მორწყვის საქმე; შეჰქმნას კოლექტიური და კოოპერატიული მეგამბეობის მეურნეობანი, შეიმუშავოს საკონცესიო წინადადებანი და სხვა.

ავსტრია-უნგრეთის კომუნისტები აზერბეიჯანში.

ბაქო. 28 ივნ. ავსტრია-უნგრეთიდან მოსულმა კომუნისტმა ემიგრანტებმა შეადგინეს აღძრეს აზერბეიჯანის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რათა მათ მიეზომოს ბაქოს მიდამოებში მიწები, რკინისგზის ლიანდაგის მახლობლად, დაეთმოს ბინების ასაშენებლად ხაჭირო ხე ტყე და მიეცეს მათ აგრედვე სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მუშა ხაქონელი. ამ ხარჯების ასანაზღაურებლად ისინი პირობას სდებენ, რომ 50 პროცენტს საკუთარი ჟირნახულის მოსავლიდან გაისტუმრებენ, დანარჩენი ჟირნახულის 50 პროც. კი მიჰყიდიან მხოლოდ ბაქოს მუშებს. აზერბეიჯანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს შუამდგომლობა გადასცა მაზათმოქმედების სახალხო კომისარიატს სისრულეში მოსაყვანად.

მოხავალი ყაზახის მაზრაში.

ბაქო. 28 ივნისი. ყაზახის მაზრის სარწყავ ადგილებში, ხელოვნურ სარწყავთა მეოხებითა, ანეულების მოსავალი საუცხოვოა. ურწყავი მიწების მოსავალი, გვალვიანობის გამო, დამაკმაყოფილებელი ვერ არის. ყაზახის მაზრის დაბლობებში გაჩაღებული მკაა ქერისა და ჭორისა. მუშა ხელის ნაკლებობაა, მუშა ხელი ძალიან ძვირია. ხილის მოსავალი [illegible] ზაფხულის ყინვების გამო. ამჟამად საშინელი [illegible] მოსახლეობა გაიკრიფა საზაფხულო იალაღებზე. ნსხვილეფეა საქონლის ჭირია მოდებული.

მელითონეთა დასასვენებელი ხახლი.

ბაქო. 28 ივნისი. მელითონეთა დასასვენებელ სახლის შესანახად კისლოვოდსკში, დადგენილია კოლექტიური ხელშეკრულებით 2 პროც. გადაიდოს, ერთი პროცენტი საკულტურო ფონდის სასარგებლოდ, ერთი პროცენტი კი მელითონეთა სახლის შესანახად. გადაწყვეტილია, კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეტანილი იყოს საგანგებო მუხლი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნეს დასასვენებელი სახლის შენახვა.

ხეტყვა.

ბაქო. 28 ივნისი. აზერბეიჯანის შეღვინეობის რწმუნებული გაგზავნა რაიონისა ატყობინებს აზერბეიჯანის აღმასრულებელ კომიტეტს, რომ 22 ივნისს სეტყვამ ჩარეგვა ორი დიდი ზვარი საბჭოთა მეურნეობისა ყარა ჩანახსა და ყარეიაარში. დაიღუპა მოსავლის 30 პროც. ნუხის მაზრაში სეტყვამ ჩარეგვა 4 ადგილი. ზარალი დიდია. ზოგიერთ სოფლებში დაისეტყვა ხეხილის ბაღები.

ხასურსათო გადახადი.

ბაქო. 28 ივნისი. აზერბეიჯანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება მისცა ყველა სამაზრო, აღმასრულებელ კომიტეტებს რათა წერილობითი მოხსენებები გამოუგზავნონ მას, თუ სახელდობრ რომელი სოფლები უნდა განთავისუფლდეს სასურსათო გადასახადისაგან; განთავისუფლება შეიძლება, მხოლოდ რაიმე თვალსაჩინო ეკონომიური დაზიანებით.

ეპარტიული ცხოვრება

პარტიუშაობა ბოგაჯომის რაიონში მაისში.

ორგანიზაციის შემადგენლობა. ბოგაჯომის ორგანიზაციაში ირიცხება 124 წევრი; მათ შორის მუშები—62, გლეხები—62. რაიკომი აერთიანებს სულ 15 კომუჯრედს, მათ შორის 6-მუშათა უბანში (მუშათა კომუჯრედი) და 9-პერიფერიებში (გლეხური კომუჯრედი). პარტიის წევრთა შორის არიან წერა-კითხვის მცოდნენი 86 კაცი, უცოდინარონი—30. ამ უკანასკნელთა, წერა-კითხვის უცოდინართა, შორის სწარმოებს მეცადინეობა წერა-კითხვის შესასწავლათ.

სოციალური შემადგენლობა ორგანიზაციისა შემდეგია: პროლეტარები 19, ღარიბი—51, საშუალო—54.

ორგანიზაციული მუშაობა. კომუჯრედების მეცადინეობა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლათ: ყველა ჯუჯრედსაც მიეგზავნა ზრდილ პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობენ უჯრედების მუშაობას, კრებები ეწყობა კვირაში ერთხელ—ხუთშაბათობით; შემოღებულია უჯრედის წევრების მიერ რიგ რიგობითი მოხსენების გაკეთება. არსებობს მუშათა კომუჯრედებში პოლიტიკური წრეები. არის შემოღებული საზოგადო პარტიული კრებები, უკანასკნელი ხდება ორკვირაში ერთხელ, სადაც თავს იყრიან მუშათა უბანში არსებული კომუჯრედების წევრები, რიცხვით 56 პარტწევრი.

რაიონის მასშტაბით ჩატარებულ იქნა საპროტესტო მიტინგები ინგლისის თავხედური მემერანდუმისა და ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო.

მუშაობა ქალთა შორის. მუშათა უბანში (ჩარხის წყალი) არსებობს მუშა ქალთა წრე, რომელშიაც ირიცხება 60 ქალი. ამათგან 37 ქალი არიან შუშის ჭარხანაში მომუშავე. გარდა ხსენებული რიცხვისა ამავე უბანში სცხოვრობს 117 მუშა ქალები, რომლებიც თავს იყრიან ქალთა კრებაზე კვირაში ერთხელ, რაიკომის ხელძღვანელობით. მაისს ქალთა კრებაზე გაკეთებულ იქნა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ლტოლვა პარტიიდაკენ. ამ უკანასკნელ ხანებში პარტიაში მიღების მსურველთა რიცხვი ძალიან გაიზარდა, მთხოვნელები არიან უმთავრესად ღარიბი მუშები და გლეხები. თანაბლად უკანასკნელი ცირკულიარისა რაიკომმა გადაწყვეტა დაკმაყოფილებულ იქნას ღარიბ მუშების და გლეხების თხოვნა, რისთვისაც რაიკომი შუამდგომლობას სწევს მაზრის კანდიდატთა მიღების შესახებ.

საერთაშორისო ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში.

(29 ივნისი)

ჩერვონცები	—13,450 ათასი.
გირვან. სტერ. ეფექტ.	—14,450 ათ.
„ ჩეკები	—12 700
დოლარები — ეფექტ.	—3.300
„ ჩეკები	—3.000
ოსმალ. ქაღალ. ლირა	—2.340

კოოპერაციის საერთაშორისო დღე

(თეზისების მაგიერ).

1. 1922 წლის ზაფხულზე ბაზელში მოწვეულ საერთაშორისო კოოპერატიულ კონგრესზე რუსეთის კოოპერაციის დელეგატების ინიციატივით გადაწყდა წელიწადში ერთი დღე მოხმარდეს კოოპერაციის საერთაშორისო პროპაგანდას.

საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის („ალიანსის“) აღმასკომმა რამდენიმე ხნის შემდეგ გამოაქვეყნა 11 ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი მოწოდება კოოპერაციის საერთაშორისო დღესასწაულის შესახებ. დღესასწაულის დღეთ დაწესებული იქნა ივლისის პირველი შაბათი (წელს 7 ივლისი).

2. საბჭოთა რესპუბლიკების კოოპერაციისათვის კოოპერაციის საერთაშორისო დღესასწაული არის არა მარტო ფორმალურად სავალდებულო (რამდენადაც საბჭოთა რესპუბლიკების კოოპერაცია არის კოოპერატიული წევრი საერთაშორისო კოოპერატიული კავშირისა და მას აქვს აღმა კომში განსაზღვრული ადგილთა რიცხვი), არამედ იგი არის აუცილებელი იდეურ პოლიტიკურ და სამეურნეო მოსაზრებათა გამო. კოოპერაციის საერთაშორისო დღე უნდა ჩაითვალოს ევროპის კოოპერაციაში ინტერნაციონალურ იდეების და პრინციპების გამარჯვებათ.

3. კოოპერაციის საერთაშორისო დღე 2 მიზანს ემსახურება: ა) თვითეულ ქვეყნის კოოპერაციის შინაგანი ძლიერების განმტკიცება და ბ) საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის პროპაგანდა და განმტკიცება.

ამ დღეს საერთაშორისო სამეურნეო კოოპერატიულ ცენტრების მოწყობის აუცილებლობა განსაკუთრებული დღეებში უნდა იქნას დასტურებული მშრომელთა კოოპერატიულ-ორგანიზაციულად შეკავშირებულ მასების მიერ.

4. კოოპერატიული აღმშენებლობა ხასიათი (მუშათა და გლეხთა მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირები).

ამა თუ იმ კოოპერატიულ ორგანიზაციის პოლიტიკური მიმართულება განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიის ხელშია მოქცეული ამ მომენტში მაკსიმალური ზეგავლენა თვითეულ ქვეყნის მუშათა და გლეხთა მასებზე.

6. მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების კოოპერაცია, დაადგა რევოლიუციონურ პროლეტარიატის დიქტატურის გზაზე მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ნხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებში კოოპერაციას მთლიანად აქვს აშკარად გამოხატული კლასიური ხასიათი. მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებში მუშათა და გლეხთა კოოპერაციას შორის არსებობს იდეურ-ორგანიზაციული და პრაქტიკული—საქმიანი მთლიანობა.

7. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მიუხედავად კარგად შეკავშირებულ მუშურ კოოპერაციის ხანგრძლივი არსებობისა,—კოოპერატიული მოძრაობა იმყოფება ჯერ კიდევ ისეთ დრომოჭმულ ილუზიების გავლენის ქვეშ; როგორც არის: „საყოველთაო ძმობა და თანასწორობა“, „სოციალიზმის მშვიდობიანი გზით მიღწევა. საწარმოვო იარაღების კერძო პირთა ხელიდან მშვიდობიანი გზით საზოგადოებრივ საკუთრებაში გადასვლა და სხვ. კოოპერაციის მდგომარეობა დასავლეთ-ევროპის უმთავრეს ქვეყნებში შემდეგია:

ინგლისში სჭარბობს მუშური, წმინდა კლასიური თავის შემადგენლობით (95 პროც.) მომხმარებელი კოოპერაცია, რომელშიაც ითვლება დაახლოვებით 1400 მომხმარებელი საზოგადოება და რომელიც აერთიანებს 4.500 ათას წევრს, მას აერთიანებს ორი კავშირი: ინგლისის და შოტლანდიის ბითუმად მოვაჭრე საზოგადოებანი, რომელნიც სავსებით სოლიდარულად მოქმედებენ. სრულიად განცალკევებულად მუშურ კოოპერაციისაგან არსებობს რამდენიმე წვრილ-ბურჟუაზიული მოხელეთა მომხმარებელი საზოგადოება (100,000 წევრით).

გერმანიაში თვით მომხმარებელი კოოპერაცია სულ უკანასკნელ ხანებამდე (1920 წლამდე) სამ საწინააღმდეგო ჯგუფად განიყოფებოდა. პირველს ეკუთვნოდა დაახლოვებით 1300 მომხმარებელი საზოგადოება 2,750 ათას წევრით. ფორმალურად ისინი ითვლებოდენ ზეკლასიურად, ფაქტიურად კი მათი შემადგენლობის 74 პროც. მუშები იყვენ—დანარჩენი—მოსამსახურეები.

ორი კავშირი აერთიანებს მათ: საორგანიზაციო-იდეური, ცენტრი და ცალკე სავაჭრო ცენტრი. მომხმარებელ საზოგადოებათა ეს ჯგუფი არის გაბატონებული გერმანიაში და ორგანიზაციულად შეკავშირებულია პროფკავშირებთან. ხოლო პერსონალურათ პოლიტიკურ პარტიებთან.

მეორე ჯგუფს შეადგენს 280 მომხმარებელი საზოგადოება 340 ათას წევრით. ეს ჯგუფი იდეოლოგიურად და ორგანიზაციულად შეკავშურებულია ხელოსანთა და წვრილ მედუქნეთა საკრედიტო და საწარმოო კოოპერატივებთან. მათი იდეური ორგანიზაციული ცენტრი, უკიდურეს წვრილ-ბურჟუაზიული და რეაქციონური ტენდენციებით ეწინააღმდეგება მთელ კლასიურ მუშათა მოძრაობას.

დაბოლოს, მესამე ჯგუფს შეადგენს 240 ქრისტიან-სოციალური (კათოლიკური) მომხმარებელი საზოგადოება სამასი ათასი წევრით. ისინი აერთიანებენ მუშათა კლასის ყველაზე ჩამორჩენილ ნაწილს.

მაგრამ მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის წინააღმდეგობის გაწვავება ომის დროს იქამდე მივიდა, რომ მეორე ჯგუფის კავშირი 1920 წელს დაიწყო, ამასთანავე ყველა მომხმარებელი საზოგადოებანი შევიდენ მუშათა კოოპერაციის კავშირში, ხოლო დანარჩენებმა დაარსეს სამრეწველო კოოპერაციის კავშირი.

გერმანულ სოფელს არ მოეპოვება მომხმარებელი კოოპერაცია, სამაგიეროთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია სულ უკანასკნელ ხანებამდე (1920 წლამდე) სამ საწინააღმდეგო ჯგუფ